მეფე და სამი მისი ძე

ერთი მეფვ იყო დიდებული და სამი ძე ესვა. თქვა მეფემან:

– გამოვსცადო შვილნი ჩემნი, რომელსა აქვს სამეფო ჭკუა?

ჰკითხა სამთავე: რა უფრო კეკლუცია, რა უფრო მსუქანია და რა უფრო მალიაო?

უხუცესმან ძემან მოახსენა:

– ცოლი ჩემი კეკლუც არს, ცხენი ჩემი მსუქან და ქორი ჩემი მალ. მათი მჯობი არსად იპოვების.

მამამან უთხრა: მეფობამან ვერ გიხილოს შენაო!

საშუალმან თქვა ფერობა მამისა და მოახსენა: დედოფლის ულამაზესი, მეფის ცხენის უმსუქნესი და მეფის შევარდნის უმალესი არა იქნებისო.

მასცა უბრძანა მეფემან: სამეფო წილი არა გხვდესო!

ჰკითხა უმცროსსა, და თქვა:

გაზაფხულის უკეკლუცესი, შემოდგომისაგან უფრო უმსუქნესი და თვალთაგან უფრო უმალესი არა რა იქმნების პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო. მოეწონა მამასა და სამეფოდ იგი შეინახა.

– ვიცი გამომცდი და, მე რომ კიდეც არ ვარგვიყო, ვინ გივის შვილი სხვა, ანუ ძმა იგი იყოს მკვიდრიო.

რქვა მეფემან:

– კეთილსა იტყვი სიტყვასა და მაშინც ხამს პოვნა მისიო.

მოახსენა ჯუმბერ

– ცოდვის უამესი ცოტა ხანს არა არის რა, და ბოლოს სამსალა არის და საწყენი, პირველ უხაროდეს და ბოლოს ინანდეს. მადლისაგან და კარგის საქმისაგან უფრო ძნელად შესამართავი არა არის რა და რა ხელთა აიღოს, ადვილად ქმნას, პირველ ზარობდეს და ბოლოს უხაროდეს, დიდად სიამე შეექმნას. ავსა და ცუდსა საქმესა ბოლო მოკლე და საწყენი აქვს და კარგსა და სამადლოსა – დაულევნელი საუკუნომდის.

თქვა ჯუმბერ არაკი: